



იმისთანა წმინდა საძმომი, ბეგბეგ ბეგ-
უღბი სიფყაა, ფყილუბით და ჭებებით ბუბ-
თის გაცნა ყულა უკანდინებაჲ უსამაგლესია.

გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

კრესპეტი


ორშაბათი, 4 სექტემბერი. 2023 წ. №100 (9632) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ტვიინის ჭყლუბა“ ქართულ პოლიტიკაში

პრეზიდენტი
და მთავრობა,
ასე ჯიუტი
თხეპივით,
არასდროს
გადაჰკიდებინან
ერთმანეთს!


◆◆◆
კონსტიტუციის
ორი მუხლის
დილაგა: ვინ
დაარღვია
მთავარი კანონი?

◆◆◆
ჯერ წესია
საქმე, მერე
საქმეა საქმე!..



ლადო
გუდიაშვილის
ნახატი

„გათითოკანებუბ“



ვისი ამ
ცხოვრების
მე ავან-ჩაუანი,
რაც გავყოფს
ვი არა, რაც
გვავრთიანებს
ეს არი,
ეს არი,
ეს არი
მთავარი...

„გვარსეპრტიკაბუბ“

„პაემანი ვერაზე“

შაპი და... შაპი ④

„რა სურს ამერიკას?!“

სიკვდილ- სიცოცხლის ზღვარზე!

სად იპოვის საქართველო
სიხსლის დონორ
9 ათას ახალ
მოსაღისანს? ⑨

გიჟო ზარნაძე:

ამბავი „რაც შევძელი“-ს ⑥ მძლეველი კასისა



სოსო ლაღიძე, ანზორ ბურჯანაძე, კახი კავსაძე,
ნიმე, ანზორ (უმცროსი) და სუსანა

ამ მერიტუის ვლოცულობთ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე

წმინდა
სახლი
მარნეულში



⑦

ქვესათვის სპიკერის
ვიზიტი
ოფიციალურად
დაიწყო

ისრაელის სახელმწიფოს ქვესათვის (პარლამენტის) სპიკერი ამირ ოჰანა ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ვიწრო თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მას საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველო-ისრაელის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი გივი მიქანაძე დახვდა.



ფის ხელმძღვანელი გივი მიქანაძე დახვდა. დღეს ქვესათვის სპიკერი საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართავს შეხვედრებს.

ამირ ოჰანა: საქართველოში მოსახლეობა და მოხარება პატივს სცემს ებრაულ ტემებს, პატივს ვცემთ და ვაფასებთ ამათ!



საქართველოში და ებრაელი ხალხის 2600-წლიანი კავშირი გახდა ჯეზუიტური ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის და ჩვენ მოვედით ამ ურთიერთობების სადემონსტრაციოდ ასევე პარლამენტებს შორისაც, - ამის შესახებ ისრაელის ქვესათვის თავმჯდომარე ამირ ოჰანამ დავით ბაბოივის სახელობის ქართულ-ებრაული ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც ქართველ მინდლერად წოდებული სერგო მეტრეველის პატივსაცემად გამართულ ცერემონიას დაესწრო და მის შთამბავლებს საპატიო სიტყვები გადასცა.

დევ გვახსოვს ზოგიერთი მართალი ერი, ძალიან ცოტა ადამიანი, ვინც შეინარჩუნა ჰუმანურობა და გადაარჩინა ებრაელები სიცოცხლე ყველაზე მწველ დროში. ერთ-ერთი მათგანი იყო სერგო მეტრეველი. მაღლიერი ვარ მისი და მთელი მისი ოჯახის იმისთვის, რაც მან გააკეთა პოლოვსკის დროს. ჩვენ შემოთავაზებთ ვედავთ მსოფლიოში ანტისემიტების ზრდას, მაგრამ პატივისცემით ვამბობ, რომ საქართველოში ამას ვერ ვხედავთ. საქართველოში მოსახლეობა და მთავრობა პატივს სცემს ებრაულ ტემებს და ჩვენ შეგვიძლია ამის ნახვა ამ მუზეუმში. პატივს ვცემთ და ვაფასებთ ამას. ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა სულ უფრო მყარი ხდება. საქართველოსა და ებრა-

ელი ხალხის 2600-წლიანი კავშირი გახდა ჯეზუიტური ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის და ჩვენ მოვედით ამ ურთიერთობების სადემონსტრაციოდ ასევე პარლამენტებს შორისაც. ხვალ ვესტუმრებთ საქართველოს პარლამენტს, მაქვს საკმაოდ მეტი შეხვედრა ამ ქვეყნის მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან. ჩვენი მიზანია, გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ურთიერთობა ამ ორ დიდ ერს შორის, - განაცხადა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ისრაელის ქვესათვის თავმჯდომარე, ამირ ოჰანამ.

ქართული ენის სტრატეგია, დაცვა და განვითარება

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის გასულით სხდომაზე, მარნეულში, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გიორგი ალიბეგაშვილს მოუსმინეს; მან დეპარტამენტის ანგარიში წარადგინა.



ნაცურ-ქოცური დაპირისპირება ჩოხატაურში

ჩოხატაურში, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებსა და აქართული ოცნების მხარდამჭერებს შორის მომხდარი დაპირისპირების ერთ-ერთი მონაწილის, „ქართული ოცნების“ წევრის ავთო მეგრელიძის განცხადებით, ოპოზიციური პარტიის წევრებმა პროვოკაცია მოაწყვეს.

ჯერ წესია საქმე, მერე საქმეა საქმე!

სათაურად გამოტანილი ჭაბუა ამირეჯიბის ეს სიტყვები ნებისმიერი ადამიანისთვის და განსაკუთრებით პოლიტიკოსისთვის უმთავრესი უნდა იყოს.

გამოითქვა „აღშფოთება-შეშფოთებები“, რომლებიც მაშინვე აიტაცეს მუდმივად კრიტიკულ დღეებში მყოფმა ტელევიზიებმა და აპოკალიფსის მოლოდინში სისხარულით ატკრესილდნენ.




„შოკირებული ვარ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის გამო“, - დასტურდა მარკეტა გრიგორევიამ.

ერთი-ერთი ემთხვევა ერთმანეთს და ნათლად ჩანს, თუ როგორ ესმის ამ ხალხს კონსტიტუცია, დემოკრატია, სახელმწიფოს ინტერესები და, რაც მთავარია, როგორ ესმით კონსტიტუციის შესრულების გარანტიის პასუხისმგებლობა ქვეყნის უმაღლესი კანონის შესრულებამდე.

კონსტიტუციაში წერია, რომ - საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საკანონო ურთიერთობებში.

„საქართველოს მთავრობის თანხმობით!“ წესით, ამით ეს საკითხი უნდა ამოიწიროს. ახლა რაც შეეხება თავად იმპიჩმენტს: მამუკა მდინარაძემ ზუსტი განმარტება გააკეთა ამ პროცედურის რეალურ მიზანთან დაკავშირებით, რასაც სრულად ვეთანხმები.





პრეზიდენტი და მთავრობა, ასე ჯიუტი თხეზივით, არასდროს გადაჰკიდებინან ერთმანეთს!

კონსტიტუციის ორი მუხლის დილაგა: ვინ დაარღვია მთავარი კანონი?



ევროპული ტურიდან ვინ დაბრუნებულ პრეზიდენტს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან მოუხვევს სამართლებრივი ღვაწლი, რაღბან როგორც უკვე დაანონსდა, მმართველი გუნდი იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს. ვიდრე ვისაუბრებდეთ, აქვს თუ არა ამ პროცედურას აღსრულების პერსპექტივა, მის საფუძვლებზე გავაანალიზოთ ყურადღება.



რა მოხდა?

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სალომე ზურაბიშვილი 31 აგვისტოს გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში ვიზიტით იწყებდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად ევროპულ ლიდერებთან შეხვედრას. პრეზიდენტი უკვე შეხვდა გერმანიის პრეზიდენტს, ევროპული სამტის პრეზიდენტს...

1 სექტემბერს განაცხადა, რომ იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს და „კონსტიტუციის დარღვევის“ დასადასტურებლად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს.

ვინ დაარღვია კონსტიტუცია?



კონსტიტუციონალისტთა ნაწილი იზიარებს „ქართული ოცნების“ ანგეზმენტაციას კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე, თუმცა განსხვავებული მოსაზრება აქვს ცნობილ კონსტიტუციონალისტს, იურიდიული კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს მახსანგ ხმალაძეს. ის ეყრდნობა ანგუმენტს, რომ პრეზიდენტისთვის პირადი პოზიციის დაფიქსირების უფლება არაა ჩამოღობილი:

„გვაქვს კონსტიტუციის 52-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ეს ნიშნავს, რომ როდესაც პრეზიდენტი საგარეო ურთიერთობების განხორციელებისას მოქმედებს მთავრობის თანხმობით, ნებისმიერ შემთხვევაში, კონფერენციაზე თუ საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში გამართულ რაიმე ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას, ყველაფერი შეთანხმებულია მთავრობისთან საკითხების ჩათვლით, რომლებზეც ის ისაუბრებს – პრეზიდენტი გამოხატავს როგორც საკუთარ, ისე მთავრობის პოზიციას. ამ დროს შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას იმ საკითხებზე, რაზეც საუბრობს.“

თუ პრეზიდენტს ამგვარი თანხმობა არ აქვს, ის აღარ წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებას. მაგრამ აქვს უფლება პრეზიდენტს, გამართოს შეხვედრები და იქ საკუთარი პოზიციის გამოხატოს? ვფიქრობ, რომ აქვს:

პრეზიდენტისთვის არაა და ანაფურს აუპრიალავს ის, რომ მან საპაროდ გამოხატოს საკუთარი პოზიციის ვარიანტი საკითხზე. პრეზიდენტს შეუძლია, გააერთოს პრეზიდენტის ვარიანტი, მისთვის ინტერვიუ, შეაფასოს ვარიანტი საკითხი. თუ ამ ყველაფრის უფლება აქვს, მაშინ, ლოგიკურად, მას თავისი აზრის გამოხატვის უფლება უნდა ჰქონდეს ვარიანტი ვერაფრის დროსაც, მაგრამ ეს იმემა მისი პირადი აზრის გამოხატვა – ის ამ დროს სახელმწიფო ხელისუფლების პოზიციას არ წარმოადგენს.“

ამრიგად, ხმალაძის არგუმენტაციით, თუ პრეზიდენტმა ტურნეს ფარგლებში გაართულ შეხვედრებზე განაცხადა, რომ გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, ამ შემთხვევაში დაირღვოდა კონსტიტუცია, ხოლო თუ მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირა – არა.

კონსტიტუციონალისტი კონსტიტუციის ვიდეო ერთ – 78-ე მუხლზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მათ შორის, პრეზიდენტთან დავაში გამოიყენებს მთავრობას უქმნის. ეს მუხლი კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გააკეთონ ყველაფერი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის.

საქმე იმაშია, რომ შემოღობაზე საქართველო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მოლოდინშია: ევროკომისიამ უნდა გამოაქვეყნოს საკუთარი შეფასება, რამდენად შეასრულა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განსაზღვრული 12 პირობა. ამ კუთხით კი თუ შეაღებულ შეფასებით და შემდგომი პროცესებით ვიმსჯელებთ, ვითარება არც თუ სახარბიელოა: ივნისის მდგომარეობით საქართველოს 3 რეკომენდაცია სრულად აქვს შესრულებული; 7 რეკომენდაციაზე „ნაწილობრივი პროგრესი“ აქვს; 1 რეკომენდაციაზე „ლიმიტირებული პროგრესი“ აქვს. 1 რეკომენდაციაზე საერთოდ არ აქვს პროგრესი. მას შემდეგ ფუნდამენტური ძვრები არ შეიმჩნევა, მმართველი გუნდი კი მსგავს შეფასებებს არ იზიარებს. ამდენად, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის ლობისტებს და მხარდამტყვერებს გეოპოლიტიკური კონტექსტის და ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფების გამოყენება უწყვეტ არგუმენტებად. მსგავს პოზიციას აფიქსირებს პრეზიდენტიც თავის საჯარო გამოსვლებში და უნდა ვივარაუდოთ, რომ დააფიქსირებს ევროტურის ფარგლებშიც. ამ შემთხვევაში, ვიზიტის მიზნის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ საქართველოს ტრადიციული მხარდამტყვერები კი აღარ ამუღავენებ დიდ ენთუზიაზმს საქართველოს ხელისუფლების პოზიციონირებიდან გამომდინარე და აქტიური კომუნიკაციის საჭიროება სახეზეა, ჩნდება კითხვა, მთავრობამ პრეზიდენტისთვის ვიზიტზე უარის გამოცხადებით დაარღვია თუ არა კონსტიტუციის 78-ე მუხლი?

„პრეზიდენტის პოზიციის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ცნობილია. მაღალი ალბათობით, პრეზიდენტი თავისი ტურნეს დროს ამ საკითხს გაუქვებს ლობირებას. და როდესაც მთავრობამ მას ამის გაკეთებაზე უარი უთხრა, ხომ არ დაარღვია კონსტიტუციის 78-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება, რომ ყველა ზომა მიიღოს ევროსტრუქტურული ინტეგრაციისთვის?“, – სვამს კითხვას ვახტანგ ხმალაძე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საკითხებზე საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რადგან მხოლოდ მას აქვს სამართლებრივი ექსპერტიზის უფლება. თავად პროცედურის დასაწყებად პირველ ეტაპზე 50 დეპუტატის ხმა საჭირო. ბრალდება გადაეგზავნება საკონსტიტუციო სასამართლოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტს, შესაძლებელია პროცედურის გაგრძელება, მაგრამ პროცესის მოლოდინი მიყვანა ამ დროისთვის უკერსპექტივოდ მოჩანს – პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას 100 დეპუტატის ხმა სჭირდება. დღევანდელი მოცემულობით, 150-წევრიან საქართველოს პარლამენტს 140 მოქმედი დეპუტატი ჰყავს. მათგან საპარლამენტო უმრავლესობაში 84 დეპუტატი შედის, საპარლამენტო ოპოზიციაში – 56. ამდენად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტი კონსტიტუციის დამრღვევად ცნო, მოელიან, რომ მმართველი გუნდი ამას შეუძლებილის დისკრედიტაციის მორიგი მცდელობისთვის გამოიყენებს, რომელთაც დაპირისპირებაშია განსაკუთრებით, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღების შემდეგ საგარეო პოლიტიკური კურსის კონტრესტში. ხოლო თუ დარღვევა არ დადგინდა, ეს მორიგი სამართლებრივი დარტყმა იქნება „ქართული ოცნებისთვის“.

„აქცენტი“

...ევროკავშირმა უნდა შეხვედრას მიღობა მომავალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით, როგორცია უკრაინა, მოლოდინი ან დასავლეთ მალკანეთი, – ამის შესახებ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრ მალონიმ განაცხადა.


„გაფართობა არ არის ბიუროკრატიული მცდელობა, ეს არ არის ლეგალური მცდელობა, ეს არ არის ხელშეკრულებების ყველა მძიმისა და აზნაის გამოყენება, არამედ ეს არის ღია, თავისუფალი დემოკრატიების ცხოვრების გარკვეული მოდელის გაგრძელება და უზრუნველყოფა“, – განაცხადა მალონი.



ავსტრიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ გაფართობასთან დაკავშირებით მხარდაჭერა წარსულშიც არსებობდა, როდესაც 1981 წელს დემოკრატიის შესანარჩუნებლად საბერძნეთი ევროკავშირში მიიღეს, ასევე 1986 წელს, როდესაც გაერთიანებულმა პორტუგალია და ესპანეთი მიიღეს. „აუცილებელი იყო იმის უზრუნველყოფა, ამ ქვეყნებს გაეცნობიერებინათ, რომ ისინი ჯერჯერობაში ნაწილი არიან. ჩვენ იგივე უნდა გავაკეთოთ ახლა უკრაინასთან, მოლოდინი და დასავლეთ მალკანეთთან. ჩვენ არ შეგვიძლია ლოდინი, რადგან ვიდრე ველოდებით, შესაძლოა, დაგვარგოთ უკრაინა, შესაძლოა, დაგვარგოთ დასავლეთ მალკანეთი“, – განაცხადა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

„ვით იესომ გალილეა აირჩია მე ტფილისი ავირჩიე ბებერი“...
ბ. ტაბიძე

შპალვნი ძირძველი თბილისელის, უიშვიათესი პიროვნების, მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, ჩემი თაობის უფროსი მეგობრის და თავისი თაობის მეგობართა სიამაყის, საპატიო თბილისელის, ბიძგი ნიშნინაძის ხსოვნას, მისი დაბადებიდან 95 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.



„გათითოკაცება გვაონერტიალებს“...

თბილისში უზომოდ შეყვარებულია შორის გამორჩეულად მოიაზრება მარადიულ თბილისელად აღიარებული, მისი მებოტე და მოტრფიალე, უკვდავი შედეგის – „პაემანი ვერაზე“ ავტორი გიზო ნიშნინაძე. ეს დიდებული პიროვნება და მისი თაობა თბილისელებისა, იყო იმ მრავალფეროვნების განსახიერება, ქომაგი და დამცველი, რითაც საქართველოს დედაქალაქი ოდითგან, საუკუნეების განმავლობაში იქცეოდა ყურადღებას. თბილისი მუდამ გამოირჩეოდა მგრძობიანე თვისებებზე, ტოლერანტობით, ეთნიკური და რელიგიური სამაგალითო თანაცხოვრებით, რაც განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა უცხოელ მოგზაურებს. დღევანდელი თბილისი კი ისე აჭრელდა, დაკარგა ტრადიციული პეიჯი და იერი, მომრავლდა შიდა რეგიონებიდან თუ უცხოეთის ქვეყნებიდან უკონტროლოდ ჩამოსახლება, რაც შეუთავსებელი გამოძახილით აისახება ამ ისტორიული ქალაქის საუკუნოვანი ტრადიციებით ცხოვრებაზე. გადავარების გზაზე შედგომის დასტურად იქცა თვით გიზო

ნიშნინაძის საიუბილეო თარიღის მივიწყებაც კი. ...თბილისო, ჩვენი თბილისო, დედის გულო და სიკეთე, დადვიდარ ქალაქში გულდაწყვეტილი, სად არის ის?, რაც იყო ადრე, ძმობა, ერთობა და სიყვარული, რა გამოქანავეს გულში მოწოლილ დარდებს, ნუთუ არ მოვა ის დრო, ის უამი კაცურ-კაცობის და მეგობრობის, თბილისს, რომ ჰყავდა ლომების დარი, სად არის გიზო, სად არის კოკა, სად არის ლადო, სადა ხარ მეფო და თბილისელი გიზოს მიჯნობა: ომან და თენგიზ, დოდო და ოთარ და სხვა მრავალნი უფროსო ძმანო, არვინ გამომჩრჩეს, სულ მეშინია, გული გატკინოთ, მშვიდობა მოგცეთ, გისხნებთ მუდამ, არ მავიწყდებით, ვლოცულობ თქვენზე თავდავიწყებით! თბილისური ტრადიციების მემკვიდრეობის აღდგენა-და შენარჩუნებაში ახალგაზრდა თაობას უნდა უწინ-

ამძღვრონ ვეტერანმა თბილისელებმა. დედაქალაქმა აუცილებლად უნდა დაიბრუნოს თავისი ისტორიული სახე. ამაზე ფიქრმა და ზრუნვამ ერთ მუშტად უნდა შეკრას და გააერთიანოს თაობები, ბოლო უნდა მოელოს გათითოკაცებას. სრულიად საქართველოს და ქართველობას გიზო ნიშნინაძემ გაკვეთილად დაგვიტოვა უკვდავი სტრუქტურები: „გათითოკაცება გვაონერტიალებს, ვიცი ამ ცხოვრების მე ავან-ჩავანი, რაც გაგვყოფს კი არა, რაც გვაერთიანებს ეს არი, ეს არი, ეს არი მთავარი. თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც სცდები. ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯეთ. თქვენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები, ჩემი დამარცხებით თქვენ ვერ გაიმარჯვებთ!“ განდაცვალვამდე ცოტა ხნით ადრე კი, განცდებმა განვლილი წლების გადასახედიდან ათქმევინა: „ფინიშის სწორზე ვარ და ვასწორებ უსწორმასწოროებს, მეგერი ხარის რქანიცა ხნავსო, დაიმახსოვრეთ! გამოვეკრე ცას, ჩათვალეთ, როგორც გენებოთ. ბოლო საღმისთვის გამოვედი თბილისელებო! მოგესხნებათ: კარგ მთქმელს, უნდა კარგი გაგვბაც. ჩემი სალამი არ ჩათვალეთ გამოსალმებად. სულით და გულით მუდამ თქვენთან რომ ვიყო ვინძლო, თბილისს, რომ რამე წამოსტკივდეს, საფლაგშიც ვივრძობ!“ დამადების საიუბილეო თარიღი მივეულოცეთ მარადიულ თბილისელს, მარადიულ სასუფეველში! მიჰქრის დღეები, მისდევს თვეები, მოსაგონარად რა დავგვრჩა ნეტავ? – სიხარული და წუხილი მეგერი, უფალს შევთხოვოთ დიდი ვედრებით, გაგვილამაზოს საჯალი დღენი თქვენცა გთხოვთ, ჩემო დანო და ძმანო, – ყოველდღიური სიკეთე ჰქენით, სიკეთე არის სიცოცხლე ჩვენი...
ბურამ სალარაძე,
ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი, საპატიო თბილისელი, ლეგენდარული მოჭიდავე.



სიკვდილ-სისხლის ფიქარზე!

პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, 2025 წლის 1 ივლისიდან სისხლის ჩაბარება დონორს მხოლოდ ნებაყოფლობით შეეძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დონორის საქართველოში დამატებით 9 ათასამდე უანგარო დონორი უნდა გამოჩნდეს. დღეს საქართველოში 23-89 მემდი სისხლის ბანკია, რომელთა მთლიანობით, წელიწადში 90 000-მდე დონორია ხდება.



სად იპოვინ სპარტოველო სისხლის დონორ 9 ათას ახალ მოხალისენ?

დღევანდელი კანონმდებლობით, სისხლის ჩაბარება შესაძლებელია როგორც ნებაყოფლობით, ისე ანაზღაურების სანაცვლოდ. უანგარო და ფასიანი დონაციების შეფარდება 40/60-ზეა. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ეს სისტემა მოძველებული, გაუმართავია და არ არის უსაფრთხო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლის დაწესებულება უმრავლესობა კერძო და მოგებზე ორიენტირებულია, რის გამოც სისხლის კომპონენტების ხარისხი მოიკლებს. ამასთან, ამ კანონის მიღებას ევროკავშირიც ითხოვდა. ფასიანი დონაციები „უსაფრთხოების და ეთიკის კუთხით მნიშვნელოვან შეკითხვებს წარმოშობს, ვინაიდან სისხლის დონაციების უმეტესობა მაღალი რისკის მქონე ფასიანი დონორებზე მოდის“, – წერია საკანონმდებლო ცვლილების განმარტებით ბარათში. ხელისუფლება სისხლის სისტემის ცენტრალიზაციას ვეგმავს. საქართველოში 20 სისხლის ჩამბარებელი პუნქტი მოეწყობა. ცენტრალური სისხლის დაწესებულებისა და ცენტრალური ლაბორატორიის აღჭურვისათვის სულ 16 150 000 ლარი იქნება საჭირო. ახალი კანონით, სისხლის ჩაბარებელად დონორის მხოლოდ წახალისება შეიძლება, მაგალითად, დონორის სიგელის გადაცემა. ამასთან, დაუშვებელი იქნება სისხლის და მისი კომპონენტების საქართველოდან ექსპორტი და საქართველოში იმპორტი, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ამაში იგულისხმება საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება,

ავრთვე, ქვეყანაში სისხლის და სისხლის კომპონენტების ნაკლებობა. ჯოენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის სისხლის ბანკის ხელმძღვანელი მარინა აბაშიძე ამბობს, რომ კანონი ნამდვილად სწორი და მისაღებია, თუმცა, მისი შესრულება ადვილი არ იქნება. უნდა მოიძებნოს ათასობით ადამიანი, ვინც სისხლის უანგაროდ გაღებაზე დათანხმდება.

ვის შეუძლია სისხლის ჩაბარება?
დონორი 18-65 წლის, ჯანმრთელი ადამიანი უნდა იყოს. მის სისხლს ამოწმებენ თბი ინფექციებზე: შიდსზე, ა და B ჰეპატიტსა და სიფილისზე. თუმცა, შიდსა და ჰეპატიტს აქვთ ე.წ. ფანჯარა, როდესაც დაავადება ჯერ კიდევ არ ჩანს. ამიტომ გადასხმისას შესაძლოა სხვასაც გადაედოს.
დონორმა გასაუბრებაც უნდა გაიაროს, სწორედ აქ არის მნიშვნელოვანი დონორის უანგარობა და გონიერება. თუ კანდიდატმა ყველა ბარიერი გადალახა, დონორობის უფლებას მისცემენ. კიდევ ერთხელ სისხლის ჩაბარება მას ორი თვის შემდეგ შეეძლება, თითო ჯერზე მხოლოდ 450 გრამის.

დადებითი, მერე – მესამე და მეოთხე დადებითები. ამის შემდეგ უკვე უარყოფითი ჯგუფებია. მეოთხე უარყოფითი ჯგუფის სისხლი მონახლეობის მხოლოდ 1 პროცენტს თუ ექნება. „პირველი და მეორე დადებითი ჯგუფის სისხლი ყველაზე მეტი უნდა მოიმარაგოს, რადგან ხშირად სჭირდებათ. ყოველთვის უნდა გქონდეს პირველი უარყოფითი, ყველას გადასხმება. თან ზედმეტაც არ არის საჭირო, სისხლს 35 დღე აქვს ვადა. საყოლაობაა, ადამიანს სისხლი აულო და ვერ გამოიყენო“, – ამბობს მარინა აბაშიძე. სისხლის უანგარი დონორების მოსაძებნად ექიმები ხშირად სხვადასხვა დაწესებულებაში დადიან, იქ, სადაც სულ მცირე 15 თანამშრომელია. ზოგი თანხმდება დონორობას, ზოგი – არა. „მეგრის ნემსის შიში აქვს, ზოგს სისხლის დანახვა არ შეუძლია, კიდევ მეგრია, ვინც ამბობს, სისხლს არ ჩაუბარებო. თუ რატომ, ეს ვერ ამოვხსენი. ერთმა ისიც კი მითხრა, მხოლოდ მაგვრისთვის გავიღებ სისხლსო. ალბათ, არა აქვთ განზომიერებული, ამით რას აკეთებენ. სულ ვეუბნები, რომ სისხლი მძიმე, უკიდურესად მძიმე ან სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფ ადამიანს სჭირდება“, – ამბობს მარინა აბაშიძე. 2025 წლამდე სახელმწიფოს მოუწევს, რაც შეიძლება მეტ ადამიანს აუხსნას, რამდენად მნიშვნელოვანია სისხლის დონაცია. „მასხოს, სამსახურში ვიყავი, დიღობში, მორგენალ სტრუქტურზე განცხადება გავიდა, ჩვილისთვის დონორი სჭირდებოდათ. იქვე ვიყავი და მივირბინე. მაშინ გავუხი პირველად დონორი. გამოსვლისას ზავვის მამა შემხვდა და დიდხანს მიხდიდა მადლობას“, – ამბობს დათო ვნუქიძე, რომელიც უკვე 12 წელია დონორების ბაზაშია და 25-ჯერ მანც ჩაუბარებია სისხლი. სისხლს სამოთხ თვეში ერთხელ უანგაროდ აბარებს, მაშინ, როცა მისი ჯგუფი სჭირდებათ – მესამე უარყოფითი.
თია თოფური,
რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი.

ღვთისმშობლის „ქართული“ სასწაულოქვედა ხატი

4 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღვთისმშობლის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „ქართული“ ხსენებას.

„ქართული“ სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლი დამრძანებულია მოსკოვის მღვდელმთავარ ალექსი მიტროპოლიტის მონასტერში.

აღსანიშნავია, რომ ამ ხატის შესახებ არსებობს ცნობა, 1622 წელს, როცა შაჰ-აბასმა საქართველო ააოხრა, სპარსელებმა ჩვენგან მრავალი წმინდა ნივთი გაიტაცეს, მათ შორის იყო ქართული ხატიც. იმუამად სავაჭრო საქმეთა თაობაზე გაგზავნილმა ლიტკინის დამკვეთმა ლაზარემა იყიდა ღვთისმშობლის ხატი, თურმე ამ დროს ლიტკინს ეუწყა და ეზრდნა, რომ ირანში, ნაყიდი ხატი შეეწირა არხანგელსკის ეპარქიისათვის, სადაც ის ამჟამად იმყოფება... აი, რა წერია 1698 წელს დათარიღებულ სიგელში: „ქართული ხატის შემწეობით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი უწინ და ახლაც, მრავალ სასწაულს და კურნებას აღესრულებს ყველას, ვინც მას სარწმუნოებით მიმართავს“.

გიული ლიპარტიანი



სანთელი

86 წლის ასაკში გარდაიცვალა ირაკლი მელაქა,

ცნობილი, უშიშარი კაცი და ერთგული მეგობარი, ნამდვილი ძველი თბილისელი. ღმერთმა მისი სული ნათელში ამყოფოს!

მეგობრების სახელით: **ჟ. პატიავილი, ი. ოსიპოვი, ი. მიხრაიანი, გ. კოსტავა, გ. ცაბარელი, ზ. ციციშვილი, ა. გოგაელი, გ. სალარაძე, ვ. ბენიაშვილი, ზ. კუპრაშვილი, ჯ. კალანდიაძე, ლ. ჯიბუტი, მ. დოლიძე.**

თინიკო ყალიჩავა-კიკალიშვილისა და იური ოსიპოვის ოჯახები იუნყებინან, რომ გარდაიცვალა


ირაკლი მელაქა.

„პეტრა სი რეზორტი“ – რეზორტი პრემიუმ უსსვილანი საინვესტიციო პროექტი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძემ და ნინო ენუქიძემ ციხისძირში, ახალი მრავალფუნქციური კომპლექსის „პეტრა სი რეზორტის“ მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. კომპლექსი 42 შენობას მოიცავს, რეზორტის ცენტრალურ შენობაში 150 ნომრისა და 5 ვარსკვლავიანი ბრენდული სასტუმრო განთავსდება. პროექტის გამორჩეული არქიტექტურის მქონე და ყველაზე მაღალ 54 სართულიან შენობას კი 1000 ბრენდული რეზიდენცია დაიკავებს.

რეზორტის მხოლოდ 30 %-ზე



განთავსდება შენობები, ხოლო კომპლექსის მთლიანი ფართობი 70%-ს ინფრასტრუქტურა და რეკონსტრუქციის ზონები დაიკავებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში კომპლექსი ენერგოეფექტურობის პრინციპებზე დაფუძნებული სივრცე იქნება, რომლის დიდი ნაწილს რეკონსტრუქციის ზონები დაიკავებს. კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი 2025 წლის ბოლოსკენ დასრულდება.

„საქართველოს, კერძოდ აჭარის რეგიონის კიდევ ერთი, საერთაშორისო დონისა და მასშტაბის მრავალფუნქციური კომპლექსი შეემატება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნასა და ტურისტების მოზიდვას. გარდა იმისა, რომ აღნიშნული კომპლექსი რეგიონში ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი იქნება, ის შექმნის ასობით ახალ სამუშაო ადგილს, რაც ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. დარწმუნებული ვარ, „პეტრა სი რეზორტი“ ერთნაირად საყვარელი ადგილი გახდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის“, – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძემ.

კეთილმოწყობილი ბინები უსახლკაროთათვის

ქუთაისში 42 უსახლკარო ოჯახი მალე ახალ საცხოვრებელს მიიღებს.

გუგუნავს ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია და ახალ ბინადრებს თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილი და შესაბამისი საყოფაცხოვრებო ავეჯით აღჭურვილი ბინები დახვდებათ. პროექტის ღირებულება 840 ათასი ლარია.

„თურქოვო“ „კალს“ მშენებელი

საქართველო-თურქეთის საზღვარზე, „ვალეს“ საბაჟო გამშვები პუნქტის მოსაზღვრე მხარეს განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტი „თურქოვო“ გაიხსნა. ღონისძიებას თურქული მხარის მოწვევით დაესწრო საქართველოს დელეგაცია, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის, გიორგი კვაკურიძის ხელმძღვანელობით.

ქართული დელეგაციის წევრებმა თურქ კოლეგებთან ერთად დაათვალიერეს განახლებული ინ-



ფრასტრუქტურა და გაეცნენ საბაჟო კონტროლის პროცედურებს. გაზრდილი საერთაშორისო ტვირთბრუნვის პირობებში, საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალს“ ყოველდღიურად ატარებს 150 მსუბუქ ავტომანქანას, 600-მდე საზღვრის მკვეთ პირს და 300-ზე მეტ სატვირთო სატრანსპორტო საშუალებას.

განახლებული ინფრასტრუქტურა საბაჟო-გამშვებისთვის

ახმეტის მუნიციპალიტეტში რამდენიმე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. დაწყებულია შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ბაქარას ნაკრძალის გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება. რეკონსტრუქცია უკვე ჩატარდა ქალაქის ცენტრში მდებარე დასასვენებელ პარკს და მიმდებარე ქუჩებს. გარდა ამისა, 12 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი ახმეტა-თიანეთის გზის რეაბილიტაციისთვის.

წყალმომარაგების ახალი ქსელი რაჭაში

პასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჯახში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც დებეტის გაზრდას ითვალისწინებს. პროექტით დაგეგმილ მიმდინარე სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მერის მოადგილესთან ზურაბ კოპაძესთან, მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად გაეცნო. წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „მნათობი 2013“ ახორციელებს. პროექტი კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მიუჯეტდანი ფინანსდება და მისი სახელმძღვანელო ღირებულება 135 450 ლარია.

უველას რაიმე აქვს სახსოვარი

ხვალ მელაქის გარდაცვალება 80-40 დღეა...



სურათში: ჟურნალისტი გია პლატონიშვილი და ღვთისმშობლის ბიზნესმენ-ქველმოქმედი ვახტანგ ლიპარტიანი-ხარებავა ოჯახურ საშობაო დეგუსტაციაზე. 1999 წლის 7 იანვარი. ჯოტო ჩვინი კოლხის პირადი არქივიდან.

სტიქია თავს არ გპანუბებს...

ქლიფი სტიქია პასუხში. სეტყვამ და ქარმა რამდენიმე მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად დაზარალა. განსაკუთრებით რთული ვითარება ახმეტაშია, სადაც სამი სოფელი დაისეტყვა. სტიქიის შედეგად დაზარალდა ავტომობილები და ელექტრო გადაწყვეტილი ხაზები. დასეტყვილია ვენახები, საზამთროსა და ნესვის ბაღები.

სტიქია იყო თელავის მუნიციპალიტეტშიც, სადაც ხუთი სოფლის მოსახლეობა დაზარალდა. დაისეტყვა ვენახები, ხეხილის ბაღები და ერთ წლიანი კულტურები. დაიტბორა საცხოვრებელი სახლების სარდაფები და საკარმიდამო ნაკვეთები, დაზიანდა სახურავები. თელავის მუნიციპალიტეტში, სტიქიისგან მიყენებულ ზარალს უკვე ითვლიან.

სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მზად არის მევენახე ფერმერებისგან მიიღოს და გადაამუშაოს სეტყვით დაზიანებული ყურძენი და 1 კილოგრამში 0.90 ლარი გადაუხადოს, – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

„როგორც საკოორდინაციო შტაბი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და ყველა რესურსი მობილიზებულია იმისთვის, რომ დაზარალებულმა მევენახეებმა შეუფერხებლად შეძლონ მოსავლის დაზიანება. სახელმწიფო არ დატოვებს მევენახე-ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალის პირისპირ მართლ და გააგრძელებს მათ მხარდაჭერას“, – ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

